

572
1956

ab m

საბავშვო
აბრეშქა



572 y

ბავშვთა

თავალი ტარე ღაბიყ,
რუხიყ, იყლი მბაყი,
გე ზეყ, მბრეყელი, მყეჯლითი
სამბავლი ჯაბაყი!

№ 1 საბავშვო და სპორტული მოწოდების
თხელი მიწვევა-გამართი

თბილისი
1956


თუმცა მიწას თოვლი ფარავს,
ცა შხის სხივით აღარ იწვის,
გულში მაინც ცეცხლი ელავს—
დილა არის ახალი წლის.

გაუინულა ნაკადული,
წელის ჩუხჩუნი აღარ ისმის;
გულს კი მაინც ზეიმი აქვს—
დილა არის ახალი წლის.

სესე ჩიტი დაღვრემილა,
თითქოს ფრენა აღარ იცის;
გულს კი თითქოს ფრთა შესხმია—
დილა არის ახალი წლის.

გამარცულა ხის ტოტები,
სედ ფოთოლი აღარ იძვრის;
გულს კი თითქოს სილა არხვეს—
დილა არის ახალი წლის.

ავღიგეთ, ქუჩებს მოგეფინოთ,
გული სახლში აღარ იცდის;
მიუულოცდეთ ჩვენს სამშობლოს—
დილა არის ახალი წლის.





აკაკი ბულიაშვილი

ნახატები რ. სხუჩერიძისა

— სვალ ახალი წელი დგება, —
უთხრა მამამ ცისანას, გივის, ნინოს და
ეველასე ზატარა კოტეს, — ვიდრე ახალი
წელი დადგებოდეს, მოდი, გვითხოთ სა-
კუთარ თავს, კარგს რას ვახვედრებთ ამ
სასისხარულა დღეს?

— მე სუთები მაქვს. — თქვა ცისა-
ნამ.

— მეც. — არ ჩამორჩა დას გვი.


— მარტო სუთები არ გმარა, — უთხ-
რა მამამ ორივეს, — აი, ნინო და კოტე
ჯერ სკოლაში არ დადინან, მაგრამ განა
მათ არ შეუძლიათ თქვან, რა გაუკეთე-
ბით კარგი?

— კოტემ გუშინ ლაშბაქი გატყნა,
ნინომ კი თავის თოჯინას სვლი მოა-
კლიჯა. — წამოიძახა გვიმ.

— მე ვი არ მოვავლიჯე სელი.
თვითონ მოსმურა. — ეწვინა ნინოს და სა-
ტირლად მოემზადა.

— შენ თვითონ მოტყებ!
ის-ის იყო ჩხუბი უნდა ამტუდარბიო,
რომ საუბარში მამა ჩაერია:

— აი, სომ სვდავთ, მარტო კარგი
ნიშნები არ ვოფილა საკმარისი. კარგ
ნიშნებს კარგი ვოფაქცევაც უნდა ამშვე-
ნებდეს. სვალ დილას ახალი წელი გე-
წვევთ, სათითაოდ გვითხავთ, ვინ რო-
გორ გაატარა გავლილი წელი, სულ
სათითაოდ ჩამოგათვლევინებთ, რამდენ-
ჯერ გაავანერეთ დედა ან მამა, სომ არ
ენხუბეთ მესობლის ბავშვებს. თოვლის
ზანასთან ტუეილის თქმა არ შეიძლება.





ნაც მენ არ იყავი, ბამბის წვერები
გქონდა?!

— ზიტ, შე ემპავო, განსოვს განა?
— გაყცინა მამს, — წაღით ხსლა, დიმი-
ნკო და სვალისხოვის ელაღყო ბაბუა
სამოარს.

კოტე შივიდა მამსთან, მისწვდა მის
ურს და ჩახსურსულა:

— მამა, არ შეიძლება, რომ თვითონ
შე ვიყო ბაბუა სამოარი?

— მენ? რატომაც არა, მაგრამ ჯერ
სამ ძლიან ზეტარა ხარ! — ჩურსულითვე
უწახუსა მამამ.

— არა, შენც იყავი, მაგრამ მეს
მინდა რომ ვიყო, კარგი?

— კარგი, მხოლოდ დილით ადრე
უნდა ადგე. — დაეთანხმა მამა.

დილას ინახა თუ არა, მამამ კოტე
გაღვიძა. მან მამინვე ჭეიტა თვალები
და, თავისი და-მისა რომ არ გაღვიძებო-
ნა, ფრთხილად სამაცოცდა ლოკინი-
დან.

ორივე სამხარეულამა გავიდა. იქ
მამს უკვე მოემხადებინა უკვლადგონი:
ბამბის წვერ-ულავა, გრძელი ჯახა და
ორი ტომსიკა საჩუქრებით. ერთი დიდი,
რომელიც თვითონ უნდა მოეკადა სურვ-
სე, მეორე ზეტარა კი — კოტესთვის.

— შე ვიქნები დიდი ბაბუა სამოარი,
შენ კი ზეტარა ბაბუა. — დიმილთ უთხ-
რა მამამ.

— მამ სვალ მოვა ახალი წელი? —
იკისხა კოტემ, — ის რომ თოვლის ზანაა.

— იგი კულაკოილი მოხუცია, კრძელი
თეოსო წვერია. სურვსე სახლწლო
საჩუქრებით სავსე ტომარა ექნება წამო-
კიდებული. მოვა და საჩუქრებს უკვლას
სათითოდ დაურთებებს.

— შე ვაიცი, ის თოვლის ზანა მენ
იქნები, — უთხრა კოტემ მამს, — მარამ-



ორივემ დაიკიდა წვერები, დაიხურეს ბეწვის ქუდები, მოიკიდეს ტომსიკები და სეღში გრძელი ჯოხები აიღეს.

— ანა, წავიდეთ, — უთხრა მამამ, — კარს რომ დააკაკუნებ და გკითხავენ: ვინა ხარო, — უნასუე: კარი გაძიდეთ, ბაბუა სამთარი მოკდივარ-თქო. მერე გკითხავენ: რა მოკაკეხს? შენ უთხარი: ბედნიერება და სიხარული, მშვიდობა და სიუკარუ-ლი. სომ იტყვი?

— ვიტყვი.

— წავიდეთ! — უთხრა მამამ და შვილს გზა დაუთმო, მატრამ კოტემ იუხარა.

— შენ წადი წინ. — უთხრა მამას,

თვითონ ვი გადლო სამხარეულოს კარი, აივანზე გაცუნცულდა და ესთაი სანახულელ კიბისაქენ გაემართა.

— სად მიხვალ, ბიჭო? — დაუღეკნა უკან გოაცემული მამა.

— ქვევით, კაკოს-თან. იმას სომ მამა ზრან ჭუას და ვინ მიუტანს საჩუქრებს? — მიუგო კოტემ.

— უოხად, თოვლის მანავ! — წამოიძხა


მამამ და შვილს სიუკარულით გა-ეოლა თვალი. კოტე კიბეს წათვლით სადიოდა და კაკოს ოთახისაქენ მიიქა-როდა. მან გაიარა ესო და კაკოს კარსე დააბნახუნა. დერეფნიდან ქალის სმა მოიხმა:

— ვინა ხარ?

— ბაბუა სამთარი! — უნასუნა გან-ეგებ გაბონებული ზმით კოტემ, — მოკდი-ვარ და მომაქეს მშვიდობა და ბედნი-ერება, სიხარული და...

სიტყვა დაავიწვდა და კარგა ხნის შემდეგ დაუძტა:

— სიხარული და... კაკოსთვის სე-ხუქრები.



მარინემ დერეფნის კა-რი სწრაფად გადლო, „ბაბუა სამთარი“ თა-ვისი საჩუქრებიანად სეღში აიტაცა და წე-მოიძხა:

— შენ კი შემოგე-ლე, ჩვენო სიხარუ-ლო!

გახსრებული კაკო ზე-რანგისამარა იჭვიტე-ბოდა ოთახის კარი-დან და მოუთმენლად ელოდა ბაბუა სამთ-რის შემოსვლას.




ჩემი კინო

თ. კვიციანი

რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ჩემი კინოაპარატი. რა ვუყვით, რომ მუხჯი არის და არ იცის დაპარაკი.

ღღეს ეკრანი მოვამზადე, დრო დაგზარჯე განა ბევრი! ოთახები ერთიანად დაგაბნეღე დარაბებით.



ნახატები ზ. თოთიშვილი

ნათურა და აპარატი მოვათავსე ყუთში ფრთხილად; ღენტეი მზად მაქვს, საგანგებოდ შევარჩე გუშინ დიღას.

ჰე, ბიჭებო. ამ საღამოს ჩემს ბინაზე მოღით ყვეღა; ჩემი კინო ათას ამბებს გაგაცნობთ და მოგიყვებთ.

ბელჯი ბოჩოლა

კ. ჩაქარაივილი

მზიან დიღით ებღში გამოღუშვეს ბოჩოღა, შეხტა, შეინავარღა. ებღ შეაჩოქოღა. ერთმანეთში არიღ იხვი, კრუხი, ვარიღ... დიღმუღღა ბოჩოღამ, თითქოღს დიღი ხარიღ, დაკუნტრუშოღს თამამი, ნეტავ რღ უხარიღ? აქეთ მურღ წამოხტა: — რატომ დარიღს, რღ მოხღა? — იქით კრუხი ქაქანებს დღ გულს ძღიღსღა იოკეღს: — რღ დამიფრთხე შვიღეღები, რატომ ამიწოიოკე? — აღრღუტუნღნღნღ გოკეღები, თერთეღები დღ კრეღეღები, ბოჩოღა კი ებღში დარიღს ჰენეღ-ჰენეღებით.





პრიადეოა ფესსაცმელები

დედამ თამრიკო ფეს-საცმელების საყიდლად წაიყვანა.

ფერად-ფერადი ფეს-საცმელებით აკრედე-ბულ მაღაზიაში გო-გონა ხელიდან გაუ-სხლტა დედას და და-ხლთან მიიჭრა.

—აი, ის მომეცი, ძია, აი, ის!—პაწია თითით უჩვენა მოხუც გამყიდ-ველს პრიალა ფესსაც-მელებზე და ფეხის წვე-რებზე აწვია.

—რომელი, ეს ლურ-ჯები? პატარები, ხომ არ გექნება?

თამრიკომ ჯიუტად გაიქნა თავი, ძველი ფესსაცმელი წაიძრო და ახლის გასასინჯად მოემზადა.

— პატარა გექნება, შვილო. აი, ნახე, ცერი ზედა გაქვს მიბჯენილი.—შეყოყ-მანდა დედა.

— არა, დედიკო, შენი კირიმე, სულ არა მაქვს პატარა. აი, ნახე,—უთხრა თამ-რიკომ დედას და ძირს დაადგა ფეხი,— დიდიც კი მაქვს, მესდება კიდევ.

მალე გოგონამ მეორეც ჩაიცვა, ასკინ-



კლით გავიდა მაღა-ზიიდან და დედასთან ერთად გზას გაუდგა.

თამრიკო ხელს არ ჰკიდებდა დედას, წინ მირბოდა და თან წარა-მარა ფესსაცმელებზე იყურებოდა. მაგრამ მალე ნაბიჯს უკლო, პრიალა ფესსაცმელებ-მა თითქოს კენა დაუ-წყო გოგონას, დედას ჩამოეკიდა და სახე მოე-ღრუბლა.

სახლამდე ძლივს მი-ვიდა. სიმწრისაგან ცრემლები მოადგა, ხან ერთ ფეხზე ისე-ნებდა და ხან მეო-რეზე, ფესსაცმელები კიბეზე გაიძრო და

სახლშიც ძლივს ავიდა.

— აი, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს-მეთქი. — უთხრა თამრიკოს დედამ.

— ეჰ, ნეტავი მეც ტყუილივით მოკლე ფეხები მქონდეს, მაშინ ეს ფესსაცმელი ხომ აღარ მომიჭერდა!—ამოიოხრა თამ-რიკომ.



პაპას ქუჩაძი

ილია სინარულიძე

სულ ნატრობდნენ პატარები:
«ნეტავ თოვლი როდის მოვა?!»
აუსრულდათ ცელქებს ნატვრა,
გუშინ დილით იწყო თოვა.
მაღე თოვლმა ბავშვებს ეზო
გადუთეთრა, გადუბამბა:
დატრიალდნენ პატარები,
გააკეთეს თოვლის პაპა.
აგერ, დათომ მოიტანა
თედო პაპას ძველი ქურჭი,

თქვა: „იქნება თოვლის პაპას
გაუცოდეს მხრები, ზურგი?...“
ქურჭი ხელად ტანთ ჩააცვეს,
შეხედეს—და ძლიერ შეგნის:
იტახიან: „მოდით, ნახეთ,
რა კოხტაა პაპაჩენი!“
ძია გიგოს გაეცინა,
აივნიდან უთხრა დათოს:
— ასი ქურჭიც რომ ჩააცვათ,
თოვლის პაპას ვერ გაათბობთ!

საჩუქარი

ბ. ჭაიშვილი

დილით ნანი საწოლიდან წამოხტა,
კისკისით შემოურბინა ნაძვის ხეს და მე-
რე კი სტუმრებისათვის საჩუქრების შერ-
ჩევას შეუდგა.

— ეს ნინიკოს, ეს თინიკოს, ეს კიდევ
თამროს, ესეც გივის!—გაიძახოდა ნანი
და კამფეტებს, ვაშლებს და ტკბილ ნამც-
ხვრებს მაგიდაზე ალაგებდა.

— ვინ დაპატიუე ნაძვის ხეზე, ნანი?—
ჰკითხა ოთახში შემოსულმა ბებიაძე.

— ნინიკო, თინა, თამრო და გივი!—
სულმოდითქმელად მიუგო ნანი.

— გურამი?—ჰკითხა ბებიაძე.

ნანის სახე მოეღუშა. გურამზე ხომ ნა-
წყენია: ის რა იყო, გუშინ რომ მისმა ძმამ
კიგაზე არ დასვა! არ მინდა სწორედ
ასეთი ამხანაგი, მისთვის არც საჩუქრებს
მოვამზადებ.—გაიფიქრა ნანი და ტუჩი
აიბზუა.

— გურამის ძმამ გუშინ კიგაზე არ
დამსვია...

— მერე, გურამი რა შუაშია?—გაკვირ-
ვებით ჰკითხა ბებიაძე.

ნანი ჯიუტად იღდა და ბებიას გასცქე-
როდა.

ამ დროს გარეთ ბავშვების მზიარული
ხმები გაისმა. ნანიმ ტაში შემოჰკრა და
შესძახა:

— ბებო, ჩემი სტუმრები მოდიან! შენც
აქ იყავი, არსად წახვიდე!

აივანზე ევლიც ამოვიდა. ნანიმ გულის-
ფანტკალით გააღო კარი და უცებ შე-
კრთა. მის წინ გურამი იდგა.

— ნანი, ჩვენთან წამოდი! მეც ისეთი
ნაძვის ხე მაქვს, რომ... ამხანაგები მეწვიე-
ნენ... შემდეგ შენთანაც მოვალთ, წამო-
დი, წამოდი!— თქვა გურამმა და კიბეზე
მზიარულად დაეშვა.

სახტად დარჩენილმა ნანიმ ბებიას შე-
ხედა. შემდეგ სინანულით გადაავლო
თვალი მაკიდას, სადაც, გურამის გარდა,
ყველა ამხანაგისათვის ეწყო საჩუქარი.

ბავშვები და იხვის ჭუჭყულები



პატარა გარეულმა იხვმა იხვინჯამ გადამწყვიტა ტყიდან თავისი ქუჭულები ტბაზე გადაეყვანა, სადაც ისინი თავისუფლად იგრძნობდნენ თავს. გაზაფხულზე, როცა ტბა ნაპირებიდან გადმოვიდოდა ხოლმე, ბუდის გაკეთება მხოლოდ ქაობის ლელიანში შეიძლებოდა. ტბამდე მისასვლელად სამიოდე ვერსის გავლა იყო საჭირო და თანაც სოფლისათვის უნდა შემოველოთ.

დედა იხვი უკან მისდევდა თავის შვილებს, სამკედლოს რომ მიუახლოვდნენ, სწორედ აქ დაინახეს ისინი ბავშვებმა და ქულები დაუშინეს. ბავშვები რომ ქუჭულებს იკერდნენ, თავზარდაცემული დედა იხვი პირდაღებული დასდევდა მათ, ხან კი აქეთ-იქით დაფრინავდა. ბავშვებმა ის იყო დააპირეს მისთვისაც ქულები ესროლათ და დაეკირათ. რომ მეც მივედი.

— რა უნდა უყოთ მაგ ქუჭულებს?— მკაცრად შევეკითხე ბავშვებს.

მათ შეეშინდათ და მიპასუხეს:

— გავუშვებთ.

— მერე და რისთვის იკერდით? სად არის მაგათი დედა?;

— აი, იქა ზის!— ერთხმად მიპასუხეს ბავშვებმა და ბორცვზე დასკუპული აფორიაქებული დედა იხვი დამანახვეს.

— აბა, ახლავე წადით და დაუბრუნეთ ყველა ქუჭული!

ბავშვებს თითქოს გაეხარდათ ჩემი ბრძანება და ქუჭულები ბორცვისაკენ გააქანეს. დედა იხვი აფრინდა და შორიახლოს დაჯდა. ბავშვები გაეცალნენ თუ არა, შეიღებს მივარდა, თავის ენაზე რაღაც უთხრა და შვრიის ყანისაკენ გაიქცა. ხუთივე ქუჭული უკან გამოუდგა. ასე ამგვარად განავრძო გზა ტბისაკენ იხვების ოჯახმა.

მზიარულად მოვიხადე ქული, დავუქნიე და მივაძახე:

— ბედნიერი მგზავრობა, ქუჭულებო! ბავშვებმა სიცილი დამაყარეს.

— რა ვაცივებთ, სულელებო? თქვენა გგონიათ, ტბამდე ამოდენა გზის გავლა ქუჭულებისათვის ადვილია? ახლავე მოიხადეთ ქულები და დაუძახეთ: „ნახვამდის-თქო“.

ბავშვებმა ჰაერში ისროლეს ქუჭულების დაჭერის დროს მტვერში ამოგანგლული ქულები და ყველამ ერთად დაძახა:

— ნახვამდის, ქუჭულებო!

თარგმანი პაპუნა წერეთლისა





მყის ზღაპარი

რ. პლანიძე

ნახატები ი. გაბაშვილისა

ზატარა მწეპმს ტყეში ზღანრების წიგნი დაეკარგა.

იმ წიგნს კაჭკაჭი წააწედა, ჩსიკვს დაუძახა და უთხრა:

— შეხედე, ჩემო მხზეანა მესობელო, რა ვინავე! აქ ისეთი კარგი ამბებია დასატული, რომ ცქერა არ მოგწუინდება. მე რომ ბარტყი ვიყავი, სოფელში ერთ ოჯახში ვიზრდებოდი. იქ ბავშვებს სულ ასეთი წიგნები ეჭირათ ხელში და კითხულობდნენ. მეც ვუსმენდი და ბევრ რამეს ვიხეზირებდი.

— მერე, რატომ მიატოვე, თუ ვერც კეთილად გაპურობდნენ? — გაიკვირვა ჩსიკვაძა.

— დანამაულზე წამასწერეს. — ამოი-

თხრა კაჭკაჭმა. — რაც კი ლამაზი ნივთი ან ნაჭერი მომეწონებოდა, ეველაფერს ვინაზავდი. ბოლოს ეველის ქურდობაც დავიწეე. ეს კი აღარ მანატყის და გამომავდეს.

მთ ხმაურზე ცსოველებმა და ფრინველებმა მოიყარეს თავი: ხეებიდან ციყვები და თრითინები ჩამოსრილდნენ; მიწიდან თხუნელები ამოძვრნენ; წიფლის ჩიტები, წიწკანები, მხეწვიები მოფრინდნენ; თატეებმა, კვერნებმა და კურდღლებმაც მოირბინეს; მახვი, ზღარბი და მელაც მოცუნცულდნენ; სულ ბოლოს მკელი მოვარდა და ეველას ავი თვალით გადახედა. ჩსიკვაძა იქ შეკრებილებს წიგნი გადაუძალა და დაეოლა:



— ეს სღანრების წიგნია. ჩვენმა ბოლოთრია კაჭკაჭმა იზოფა. რაც აქ წერია, ეველაფერი სცოდნია და ვთხოვთ, კვიამბოს!

— ჰო, ჰო, კვიამბოს! — მიამანეს ეოველი მხრიდან და უფრო ახლოს მოკროვდნენ: სოკი ხის ტოტზე ჩამოვდა, სოკი ფესვზე, სოკიც ბუჩქზე; კაჭკაჭი შუაში მოიქცეეს და სმენად გადაიქცნენ.

კაჭკაჭი უშნოდ კაიფხორა, ფრთის ქვეშეიდან სათვალეები გამომავრინა, კაიკოთა და წიგნი გადაშალა. ზირველ კვერდზე თხუნელა ვხატა: ვახის ძირში

ჩამჯდარიყო და ფესვიდან მაკოთულა ჭიანჭველი დასვლიდა.

— თხუნელა უწინარი ცხოველია, იკვებება მანვე მწერებით, ამით სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის. — შეზირად დაუარა კაჭკაჭმა.

— ოო, თხუნელას ვახლავართ! — ახითხითდა მახვი და სურგზე გადაკოტრილდა. მას სხვებიც აჰყვნენ.

მერე ციფვის სურათი გამოჩნდა: ხის ტოტზე ჩამომჯდარი კაკალს მიირთმევდა. შემდეგ კვერდზე ბუ ეოთ დანატული და თვალეები ჩვეულებრივზე უფრო მეტად დაუჭეიტა.



— ზი-ზი!—ხაიქირქილა თაკვა,—
ნეტავ შე სომ ზრ დამინახა მაკ თავგა-
სიებულში?

— ოჰო! ვინ არის მანდ, ჩემსე რომ
იცინის?—მოისმა ბუსლუნი ნეკერხლის
ფულუროდან და ეკითხული, გაბუებული
თავი გამიხნდა.

კაჭკაჭს მის დანახვასე ფერი ეცვალა
და ის კვერდი სწრაფად გადაფურცლა.

შემდეგ კუდამელას სურათსე გადავი-
დნენ: მეღა მამაღს შიარბენინებდა,—და
ისევ შეიქნა ერთი წრიანი და ხითხითი.

კუდამელას მოუსვენრობა დაეტეო, დაი-
გრიხა, ჯერ სეს ამოეფარა, შემდეგ ბუს-
ქეში გაბვრა და ამ სმაურში ისე გაი-
ზნარა, რომ ვერავინ შენიშნა

— ახლა მკელი გავ-
სარეთ, მკელი!—წა-
მოიმანა კვერნამ, მაკ-
რამ მკელი ველარ ით-
ქეს; მახვიც თან ცაჭო-
ლოდა, თავვეთიც და
ეველა ის, ვისაც ცუ-
დი ზნე და სუეულები
სჭირდა.

— აი, წივნიც ასე-
თი უნდა, ეველა ქურ-
დი და გაიხურა და-
ფროსო! პარაქლა,
კაჭკაჭო!—ხითხითებ-
და სიცილისგან ღო-

ნემსიდილი თხუნელა; დანარჩენებიც სულ
ამ წივნის ქებაში იყვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მამუბა და ოფოფ-
მა ლამაზი ევაგილები მოიტანეს,—კაჭ-
კაჭისათვის უნდა მიერთმიეთ, მაგრამ ამ
დროს ვიდაცამ წამოიმანა:

— მოიცათ, ნუ აჩქარდებით, ჯერ
თავისი სურათიც გვიჩვენებ!

რა უნდა ექნა კაჭკაჭს, ისევ ვადა-
ლა წივნი. თავის სურათს რომ მოაჭრა
თავლი, შეუძისეგლად დააზიარა გადაფურ-
ცვლა, მაგრამ ხსიკვამ ზრ დანახვა.

— შე ენაქარტალა, შენა, სხვისი ცუდი
რომ გამოაფანე, შენი ქურდობის და-
მალვა გინდოდა?

სურათსე კაჭკაჭს კარვა მოხრდილი
ეველის ნაჭერი დაე-
თრია.

ამ დროს სმაური შე-
მოგნმთ და ეველამ თავს
უძველა; თურმე ზატარა
მწვექისი მოდიოდა. თა-
ვისი სევერელი წივ-
ნი იქვე მწვანე მოლსე
იბოვა გადაძლილი და
სეღ ლამაზი ევაგილები
ეკარა. მტრად გაუკვირ-
და, მაგრამ ვერაფერს
ძისედა. ორივე სინარუ-
ლით ზიტაცა სეღში
და თავს გზას გა-
უღია.





რ. თაბალიძის მიერ

ბეკო და ნახაკა

ნახატები ვ. ხაბაძისა

— ბეკო, ჩემო მესობელო, ზაძთარი
სადაცა კარზე მოკვადგება და ჩვენ კი
თავშესაფარი არა გვაქვს. მოდი, დაუშე-
გობრდეთ და სახლი ავაშენოთ. — მიმარ-
თა კურდღელმა კარულ თხს.

— კარგი, ჩემო ნაცარავ, მხოლოდ
საშენი მასალის შიგნა შენზე იეთს, რად-
გან სწრაფი ხარ და კარგი სირბილი
იცი.

დაუცურდა ნაცარა, იმ დღესვე მო-
სიდა ქვიშა და ზეგონის ნატყუები, ხი-
ლა და ხრეში, ფიხნი და ნაფოტები და
შეუღბა კიდევ მშენებლობას.

ბეკომ ნაცარას უთხრა:

— ზირველი ხართული შენ აამენე,
რადგან ზატარა ხარ, ხოლო მეორე ხარ-
თულს მე ამოვიყვან. თუ შეთანხმებით
ვიმუშავებთ, საქმესაც წინ წავიყვანთ.

ნაცარა შეუსწავებელივ მუშაობდა. ბეკო
ხანდახან მოვიდოდა, დახედავდა ნაცარას
უაღიფუტეს, მეორე ისევ თავაწეული წაბ-
კუნდებოდა და ნაკარს ანსყინად შეუ-
ცავდა.

ნაცარამ კედლები და კარ-ფანჯრები
თითქმის დაამთავრა; კიდევ მოსიდა სა-
შენი მასალა, მაგრამ კედლებს უკვე ვუ-
ღარ მისწვდა, რათა ახალი წყება ამო-
ეყვანა. მან შეგობარს სთხოვა:

— ბეკო, ხომ შედავ, ზირველი ხარ-
თული დაგამთავრო, ახლა ვუღარ ვწვდო-
ბი და შენ განხარბე ამენებო. მეც მო-
კვებხარბო.

ბეკო ამოყვანილ კედლებზე ავიდა და
სეუიდან კადმოსძახა:

— აბა, სწრაფად მომავლეთე მასალა!



ნაცარა უკანა ფეხის წვერებზე შედგა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიჭიმა და წინა თათებით ფიცრები ბეკოს გაუშვირა, — გამომართვიო.

ბეკო ადგილიდან არ დაიძრა: აქ ამოდი და ამომიტანე, შენი გულისთვის ვერ დაგეხრები, სომ ხედავ, შენზე მძალევი ვარო.

ბეკრი ეცადა ნაცარს, მაგრამ მძლავრ შემდგარ ბეკოს მანაც ვერ მისწვდა, ბუკომ კი ძირს დახრა არ იკადრა. დაჯდა ნაცარს და მწარედ აქვითინდა.

ამ დროს ერთმა ურცქვიტამ ჩაურბი-

ნა ნაცარას და ტირილის მიხეცი მოჰკითხა.

— მე დაბალი ვარ და ვერ შევწვდი, ბეკო მძალევი და არ დაიხარა. აბა, სასლი როგორ უნდა ავაშენოთ?

— ეე არაფერია, მე დაგეხმარები. — ანუგეშა ურცქვიტამ.


დატრიალდნენ კურდღლები, სასლი მძლე გადასურეს და შევიდნენ კიდევ შიგ.

დასამთრდა. ირგვლივ ბლომად დათოვა. უსასლკაროდ დარჩენილი ბეკო სიცვივემ შეაწუსა.


— შეგობარო ნაცარს, შემიძვი შენთან. — შეჰკვიცინა შესობელს ბუკომ.

— მობრძანდი, გათბი! — შეიანტიცა ნაცარამ.

ბეკრი უტრიალა ბეკომ, მაგრამ ნაცარას კარში, აბა, როგორ შევეტეოდა?! დარწა გარეთ და მთელი ზამთარი სიცვიით განკალაგებდა.




სტუმარ-მასპინძელი.



სკუპ-სკუპით, ხტუნვით მოვიდა
 ყურცქვიტა თავის ძმობილთან.
 გახარებული ცუგრიკო
 სტუმარს არ შეხვდა ურიგოდ.
 ღხინი გაჩაღდა, რა ღხინი. —
 ჩვენი ცუგრიას ბინაზე,
 მასპინძელი და სტუმარი
 გადადიოდნენ ყირაზე.
 დაღამდა. დროზე შინ წასვლა
 აღარ ახსოვდა ყურცქვიტას,
 ცუგას კი ეძინებოდა,
 ყურცქვიტას წასვლას უცდიდა...
 დილით ოქრო ხარ, სტუმარო,
 საღამოს ვერცხლად იქცევი,
 თუ ხანი დაგიგვიანდა,
 სპილენძად გადაიქცევი.
 ძილი ერევა ცუგრიას,
 ყურები ჩამოუყრია,
 ბოლოს მონახა ლეიბი,
 აღარ სწადია ქეიფი.
 — ცუგრი, მე რაღას მიპირებ,
 მიშველე, თორემ ვიტირებ! —
 ცუგამ ვერ უთხრა უარი
 და მზასვენა სტუმარი;
 ერთად მოთავსდნენ, მორიგდნენ,
 უცბად ახვრინდა ორივე.
 მაგრამ ცუგრიას ლოგინი
 ისე პატარა ყოფილა,
 რომ იატაკზე იძინა
 იმ ღამეს ორმა ძმობილმა!





მ. პაჩილი და მ. პაჩია

ნახატები ბ. შოთაშვილისა

კიორინო

ზღაპარი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა დიდი მეცნიერი, სახელად პილუკა. უშვილოდ დარჩენილ მოხუცს სახლში ხმის გამცემი ცი არავინ ჰყავდა და მოწყვნილი იყო. და აი, ერთხელ, როცა ქუჩაში მოთამაშე ბავშვების მხიარული ყიჟინა შემოესმა, პილუკამ შუბლზე ხელი იტყიკა და გახარებულმა წამოიძახა:

— მოდი, რკინის ბიჭუნას გავაცეთებ, რომელიც ნამდვილი ბავშვივით ითამაშებს და ირბენს, ილაპარაკებს და ჭამს. მაშინ ხომ ასე მარტოდმარტო აღარ ვიქნები!

ნეტავ იცოდეთ, რამდენი შრომა დასჭირდა პილუკას, რომ აეწყო რკინის ბიჭუნა: ცხვირის მაგიერ ძველი ჩაიდანის მილი გაუყეთა, ხოლო რკინის ღუმელის მილებიდან—გრძელი და სანთელივით სწორი ფეხები. ბოლოს მოხუცმა სახეხი ქაღალდით გააპარიალა ორი ძველი უთო და მიუდგა ფეხებზე, რომლებმაც რკინის ბიჭუნას ტერფებისა და ამასთან ერთად ფეხსაცმელის მაგივრობაც გაუწიეს.

დადგა სანატრელი დღე. მოხუცმა მეცნიერმა პილუკამ გადაწყვიტა გაეცოცხლებინა თავისი რკინის ბიჭი, რომელიც უძრავად იწვა მაგიდაზე; ის იყო ელექტროდენი უნდა გაეტარებინა მის ტანში, რომ უცებ შეამჩნია—მექანიზმს ლურს-

მანი აკლდა. მაგრამ პილუკას ლურსმნები აღარ ჰქონდა.

— არ გყოფნის ლურსმანი, პატარავ? არა უშავს რა.—თქვა მოხუცმა,—სამაგიეროდ მე შენ კიოდინოს¹⁾ შეგარქმევ.

პილუკამ დენი ჩართო და რკინის ბიჭუნას ელექტრონმა სისხლივით დაუარა ტანში. ჩამოვარდა სიჩუმე. უცებ გაისმა რკინის ელარუნე—კიოდინომ თვალები დააქვიტა, წამწამები აახამხამა და ვაკვირვებულმა მიმოიხედა. მერე წამოიწია, მაგიდაზე ჩამოჯდა, დაამტკნარა—ქახ. ქახ!—და გემრიელად გაიხმორა.

პილუკა სიხარულით ცას დაეწია.

— კიოდინო, შეილო!—ჩურჩულით წარმოთქვა მან და ხელები გაიწოდა თავისი პირშეშოსაკენ.

მაგრამ თქვენ რა გგონიათ, რა უპასუხა ამ უგულო ბიჭმა?


— უჰ, როგორ მომშვიდა! მამა, არა გაქვს საკმელი?

დაბნეული პილუკა კარადს მივარდა, მაგრამ შიგ არაფერი დახვდა.

— მაშ მე თვითონ ვიშოვი ჩემთვის საუზმეს!—წამოიძახა კიოდინომ, იატაკზე ჩამოხტა, კარი გააღო და ისე ვაიქცა სახლიდან, რომ პილუკას არც კი გამოემშვიდობებია.

აი, კიოდინო მხიარულად მიაბიჯებს

¹⁾ კიოდინო იტალიურად ლურსმანს ნიშნავს



ქალაქში და თან უბოდინოდ ევახება გამეფლდებს. უცებ ერთ-ერთ გზავარდინზე შეჩერდა, — პაერში მადის-მომგვრელი სუნი ტრიალებდა. — ნეტავ რა უნდა იყოს? — გაიფიქრა კიოდინომ და ავტომაობილებისათვის საჭირო ზეთის ავზთან მივიდა.

„ახლა კი კარგად დანაყრდები!“ — წამოიძახა მან, ხელი სტაცა რეზინის მილს და — სლუპ-სლუპ! — ხარბად დაუწყო ზეთს წოვა.

აბა, თქვენ თვითონ იფიქრეთ, კიოდინო ხომ მექანიკური ბიჭი იყო და, მამასადამე, კვებაც ისეთი უნდოდა, როგორც მანქანას. თავისუფალი და ბედნიერი კიოდინო ქუჩებში დაეხეტებოდა. აი, შეჩერდა ერთი მაღაზიის მდიდრულად მორთულ ვიტრინასთან. ოჰ, რა არ ეწყო ამ მაღალი და ფართო შუშის იქით! ერთგან ასეთი წარწერა იყო: „უახლესი საშუალება ლითონის საწმენდად — საკრიალ-საბრქვეილო!“

კიოდინოს, როგორც ყველა ბიჭუნას, ძლიერ სურდა ლამაზი შესახედავი ყოფილიყო. მას ბევრი აღარ უფიქრია, აიღო და თავისი რკინის ხელით ჩამტვრია ვიტრინის შუშა: მერე არხენად გადაალოჯა ვიტრინაში, ხელი სტაცა რამდენიმე ბოლო „საკრიალ-საბრქვეილოს“ და ისე ენერგიულად შეუღდა წმენდას, რომ ცოტა ხანში რკინის ტანი თვალის-მომჭრელად აუპრიალდა.

— აი, ახლა კი ლამაზი ვარ! — წამოიძახა კიოდინომ და ყოველი მხრიდან შეათვალა თავისი თავი.

ამ დროს მაღაზიიდან მედლუნე ჩიჩქო გამოვარდა და ჩამხვრეული ვიტრინა რომ დინახა, ღრიალით იქაურობა გააყრუა. მის ყვირილზე მოვარდნენ პოლიციელები.

— არ გაუშვათ, დაიჭირეთ! — ღრიალებდა ჩიჩქო.

პოლიციელები მისცვიდნენ კიოდინოს და ხელჯოხები დაუშინეს თავში. მაგრამ თქვენ ხომ იცით, კიოდინოს რკინის თავი ჰქონდა და, აბა, ხე რკინას რას დააკლებდა! კიოდინომ იფიქრა — ეს, ალბათ, რაღაც მხარული თამაში უნდა იყოს, მოდი, მეც ვითამაშებო, და რკინის პატარა თითით წკიპურტები სეტყვა-სავით დააყარა პოლიციელებს თავზე.

მედლუნე ჩიჩქომ გადაწყვიტა, კიოდინო როგორმე ხელში ჩაეგდო. „ეგ ბიჭი რომ ჩემი იყოს, — ფიქრობდა ხარბი ჩიჩქეტი, — მე ათჯერ უფრო მდიდარი ვიქნები! რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ვეცდები, პილუკას ვაღში წავართვა იგი“.

ის ღლეც დადგა, როცა პილუკას ჩიჩქეტისათვის ფული უნდა გადაეხადა ჩამტვრეული შუშის სანაზღაუროდ. მაგრამ პილუკას ფული არა ჰქონდა. მაშინ ჩიჩქემ პოლიციის დახმარებით ძალად გამოგლიჯა მკლავებიდან მოხუც მეცნიერს თავისი ბიჭუნა. დიდხანს ეხვეწა პილუკა ჩიჩქეტს: — შეილს ნუ წამართმევო, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიბრუნა კიოდინო.



ჩიჩქტიმ კიოდინოს ყელზე ფოლადის სქელი ჯაჭვი მოაბა და დაღონებული ბიჭი თავისი მალაზიისაკენ წაათრია...

ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის ყველა გზაჯვარედინსა და სახლებზე გააქრეს დიდი აუროები:

„ხალხო, იჩქარეთ და თავი მოიყარეთ ჩიჩქტის დიდ მალაზიაში! თქვენ ნახათ ჩვენი საუკუნის საკვირველებას! მექანიკური თოჯინა ასრულებს ყოველგვარ ბრძანებას! იჩქარეთ, იჩქარეთ!“


წარმოდგენის პირველ დღეს უამრავი ხალხი მიაწყდა ჩიჩქტის მალაზიას. ფარდა გაიხსნა, გამოვიდა მედუქნე ჩიჩქტი და ხალხს ასე მიმართა:

— ძვირფასო ბატონებო, თქვენ წინ ნამდვილი ბიჭი კი არ არის, მხოლოდ უსულოდ მანქანაა. რასაც კი უბრძანებთ, ყველაფერს შეასრულებს.

„მაგრამ მე ხომ მყავს მამა,—აღვლიანად გაიფიქრა კიოდინომ.— ოჰ, ნეტავ აქ მოვიდოდეს!“

— აბა, კიოდინო,—მიუბრუნდა მედუქნე ბიჭუნას,—ადეჩი და მივსალმე კეთილ ბატონებს, რომლებიც აქ შენს სანახავად მოვიდნენ, სამაგიეროდ მე შენ ერთ ქილა ზეთს მოგცემ.

მაგრამ კიოდინო ადგილიდან არ დაიძრა. მაშინაც კი არ წამოდგა ფეხზე, როცა გაბრაზებულმა ჩიჩქტიმ რკინის მათრახი დაურთო თავში. კიოდინო ფიქრმა გაიტაცა: გაიხსენა მამა—კეთი-



ლი პილუკა, რომელსაც ძლიერ უყვარდა ჯიუტი რკინის ბიჭი, და თვალეზზე ცრემლები მოადგა.

ამ დროს ხალხში გაისმა ნაცნობი ხმა:

— კიოდინო, შეილო!

ეს იყო პილუკა; ისიც სხვებთან ერთად შემოსულიყო მალაზიაში.

მამის ხმა რომ გაიგონა, კიოდინო წამსვე წამოხტა.

— მამა, მამილო!—დაიქახუნა კიოდინომ და თან ისეთი ძალით გაიწია მამისაკენ, რომ კედელი, რაზედაც ჯაჭვით იყო მიბმული, გაიბზარა.

— კედელი ინგრევა, თავს უშველეთ!—დაიყვირა ვილაცამ. შეშინებული ხალხი კარებს მიეძალა; რაც კი წინ გადაეღობათ, ყველაფერი მიღეწ-მოღეწეს; მალაზიაში დახლზე დაწყობილი საქონელი ერთიანად დაამხვრიეს და გააფუჭეს. მედუქნე ჩიჩქტიმ ეს რომ დაინახა, სიმწრისაგან დაიღრიალა:

— დაიჭირეთ პილუკა! ყველაფერში ეგ არის დამნაშავე!

პოლიციელები მისცივდნენ მოხუც პილუკას. ამ დროს კიოდინომ უფრო ღონივრად გამოსწია ჯაჭვი და მალაზიის კედელი გრუხუნით ჩამოინგრა. კიოდინო მიიჭრა პოლიციელებთან და საყვარელი მამა გაათავისუფლა.



კიოდინომ და პილუკამ შინისაკენ მო-
კურცხლეს.

ვაფთრებული ჩიჩქტი მათ მთელი
არმიით გამოდევნა. სამჯერ შემოირბი-
ნეს ქალაქის ყველა ქუჩა მღვერებმა,
მაგრამ კიოდინოს მანც ვერ დაეწივნენ.

ბოლოს კიოდინოსა და პილუკას წინ
მაღალი კედელი გადაეღობათ. ტანკები
მათ გარსშემოერტყნენ და ჩიჩქტიმ გას-
ცა ბრძანება ზარბაზნები სასროლად გა-
ემზადებინათ.

— დავიღუბეთ! — წამოიძახა იმედდა-
კარგულმა პილუკამ.

მაგრამ რკინის ბიჭი არ დაიბნა.

— ნუ გეშინია! — თქვა მან და ტანკებ-
სა და ზარბაზნებს მიუბრუნდა:

— დებო! ნუ დაუჯერებთ იმათ, ვინც
გაიძულებთ ჩაიდინოთ ბოროტი საქმე!
მანქანა იმიტომაა გამოგონილი, რომ
ხალხს სასიკეთოდ ემსახუროს, თქვენ
კი რას ჩაიღებართ? აბა, ერთი იფიქრეთ,
რას იტყვიან თქვენზე თქვენი ძმები —
კომბანები, ტრაქტორები და დაზგები.

სამხედრო მანქანები მხოლოდ იმიტომ
არ გაწითლებულან სირცხვილისაგან, რომ

ახალი შეღებილები იყვნენ. მაგრამ კიო-
დინოს სიტყვამ მათზე დიდი გავლენა
მოახდინა. ძველ ზარბაზნს გული აუჩვილ-
და და ყუმბარა უკან გადმოაფურთხა;
ერთი სულ ახალგაზრდა და მგრძობიარე
ტანკი ისე აღელდა, რომ გვერდები-
დან ბენზინის დიდი წვეთები ცრემლფ-
ბივით გადმოღვარა, ხოლო ცხვირიდან
ზეთი გადმოდინდა.

— შეიპყარით ეგ მეამბოხე! — ყვირო-
და გაცეცხლებული ჩიჩქტი, — ხმა ჩააწყვე-
ტინეთ!

მაგრამ არც ერთი მანქანა ადგილიდან
არ დაძრულა.

— არ წავალთ კიოდინოს წინააღმ-
დეგ, — ხმაურობდნენ ტანკები და ზარბაზ-
ნები, — ჩვენ მოვითხოვთ, რომ გადაგვა-
კეთონ! ჩვენც გვსურს გავხდეთ ტრაქ-
ტორები და დაზგები! გვინდა მშვიდო-
ბას ვემსახუროთ!

სამხედრო მანქანებმა კიოდინოს და
პილუკას გზა გაუხსნეს. კიოდინომ გუ-
ლითადი მადლობა გადაუხადა მათ და
პილუკასთან ერთად შინისაკენ გასწია.

შემოკლებული თარგმანი შ. შონიასი



6.59/15



ს. ხათასია

ნახატი რ. სვარკასი

ქარი და გოგი

სკოლისაკენ მივიჩქარი,
 დამესსენი, ქარო!
 ფეხებში რომ შებღანდები,
 მოძიადე ხარო?!
 დამესსენი. მეჩქარება,
 ნუ მიღობავ გზასა,
 ღონე თუ გსურს გამოსცადო. —
 დაეჩიედ შთასა.



ყლის მხატვრობა გუეთენის გ. თოთობაძეს

რედაქტორი იოსებ წინეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, გე. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოჯაშვილი, მკეკელიძე მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაჭკოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეცხრე წელი შანსი 2 მან.

Д. И. А.—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 1, январь 1956 г. Тбилиси. Ленина 14
 საბლიტბაში, ჭავჭავაძის შესართავი: თბილისი, ლენინის 14, შ. სართ. ბდ. მ-37-38, გაზეთი, შვედ. № 194 სტამბის შვედ. № 1520/1
 ტირაჟი 15 000. ჯგ. 10295 ხელმოწერილია დასაბამად 17/XII 55 წ. ბეჭეტი ამჟამინდელი პოლიგრაფიკული ინსტიტუტის სტამბაში. ერწაღი დაბეჭდილია ჟენი ბეჭდვის სტამბაში. შარვაშიშვილის 5.